როგორ მოვამზადოთ მეთოდური მასალა მედიაწიგნიერებაში

1. შესავალი

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა მედიაწიგნიერებას განსაზღვრავს, როგორც გამჭოლ კომპეტენციას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მედიაწინიერების უნარები მოსწავლეს ყველა საგნობრივ ჯგუფში უნდა განუვითარდეს. *მოსწავლემ უნდა შეძლოს როგორც ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება დაშექმნა, ასევე, მედიასამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება, ინფორმაციის „გაფილტვრა“ და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება.*

ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება პოზიტიური ნაბიჯი იყო. საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ მედიაწიგნიერებას დადებითი გავლენა აქვს სამოქალაქო ჩართულობაზე (Kahne,2011). ახალგაზრდები, რომლებიც იმ სკოლებში დადიოდნენ, სადაც მედიაწიგნიერება ისწავლებოდა, პოლიტიკურად აქტიურები არიან და შეხედულებების ფართო სპექტრით გამოირჩევიან. მედიაწიგნიერების მაღალი დონის უნარის მქონე ახალგაზრდების 84% მიიჩნევს, რომ მათ ეს უნარი სკოლაში განივითარეს.

მედიაწიგნიერების დანერგვა სკოლებში, ქართულ კონტექსტზე მორგებული რესურსების შექმნა და ამ მასალის პოპულარიზება ჯერ არ დაწყებულა, თუმცა, ნიადაგი ამისთვის მზადაა.

საქართველოს სკოლებში შესაძლებელია მედიაწიგნიერების დანერგვა და ამ გზით სასკოლო კულტურის ცვლილება, რადგან ქართველი მასწავლებლების ნაწილი საინფორმაციო ტექნოლოგიებს კარგად ფლობს. მედიაწიგნიერების სფეროში ქართული გამოცდილების შესახებ საუბარი ჯერ ადრეა, რადგან მხოლოდ ახლა იდგმება პირველი ნაბიჯები.

მედიაწიგნიერების კონცეფცია დაკავშირებულია კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან. კერძოდ, თუ მედიაწიგნიერებას განვიხილავთ, როგორც, ერთი მხრივ, ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში ორიენტირების, ინფორმაციის გაფილტვრის და, მეორე მხრივ, ახალი ინფორმაციის/ცოდნის შექმნისა და გაზიარების ინსტრუმენტად, ადვილია დავინახოთ მისი კავშირი კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან. ინფორმაციის გაფილტვრა რთულია კრიტიკული აზროვნების უნარის გარეშე, ხოლო ახალი ინფორმაციის შექმნას კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება სჭირდება.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მედიაწიგნიერების დანერგვას ფორმალური განათლების სივრცეში. ასევე, გვწამს, რომ მედიაწიგნიერების დანერგვა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახულია მედიაწიგნიერების საჭიროება ყველა საგანში და სწავლების ყველა საფეხურზე. საგანმანათლებლო პოლიტიკა მწვანე შუქს უნთებს მედიაწიგნიერების სასწავლო პროცესში დანერგვის მსურველ მასწავლებლებს.

მედიაწიგნიერმა ადამიანმა უნდა მოახერხოს ინფორმაციაში სიმართლის ,,ამოცნობა". როგორ? რამდენიმე მარტივი მიდგომა არსებობს. პირველ რიგში, აუცილებელია **ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მარკეტინგული ინტერესები და ინფორმაცია**. მედიაწიგნიერი ადამიანი სვამს კითხვებს: ვინ შექმნა ეს გზავნილი? რატომ შექმნა? ვინაა აუდიტორია? ვინ გადაიხადა ფული? ვინაა მოგებული ამ გზავნილის გავრცელებით ? ვის მიადგა ზიანი? მედიაწიგნიერი ადამიანი არა მხოლოდ სვამს კითხვებს, არამედ, ეძებს პასუხებს ამ კითხვებზე.

მედიაწიგნიერება მედიაგანათლება არ არის!

> სანამ განვმარტავდეთ, რა არის მედია, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ **მედიაწიგნიერება მედიაგანათლება არ არის**. მედიაგანათლების ფარგლებში ცოდნას იღებენ ჟურნალისტები, ხოლო მედიაწიგნიერება არის ის კომპეტენცია, რომელიც გვჭირდება, რომ გავიკვლიოთ გზა ინფორმაციით გაჯერებულ სამყაროში.

მედია არის ვიზუალური საშუალებებით, სიტყვებითა და ხმით გამოხატული ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია მასობრივი აუდიტორიისთვის. მედიაა წიგნები, ჟურნალები, რადიო და სატელევიზიო გზავნილები, ფილმები, ვიდეოთამაშები, სოციალური მედია და ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებული გზავნილიც კი. საკლასო ოთახში მედიაა სახელმძღვანელო, პლაკატები და რუკები. მედიასაშუალება ფინანსებს ხარჯავს მასალის მომზადებაში, მაგრამ რიგითი მოქალაქეები, რიგ შემთხვევაში, საკმაოდ საინტერესო მასალებს ყოველგვარი ფინანსური ინვესტიციის გარეშე ქმნიან.

2. როგორ ჩავატაროთ ,,მედიაწიგნიერების" გაკვეთილები?

თუ გადაწყვეტთ მედიაწიგნიერების მიდგომის ინტეგრირებას გაკვეთილზე, მაშინ მოგიწევთ კლასში პრობლემის მრავალმხრივი განხილვა, რისთვისაც აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე ყურადღების გამახვილება:

ყურადღება მიაქციეთ ფაქტების სისწორეს/სიზუსტეს - რა არის ამ ინფორმაციის წყარო? მეცნიერულად სანდოა? რატომ?

წაახალისეთ კრიტიკული აზროვნება - დაეხმარეთ მოსწავლეებს საკითხის მრავალი ასპექტის დანახვაში ისე, რომ თქვენმა შეხედულებებმა მათზე გავლენა არ მოახდინოს

(დასვით საკითხი ასე: რას ყვება მედია გლობალური დათბობის შესახებ? წყალდიდობის ან ღვარცოფის შესახებ? რომელი გზავნილია უფრო სანდო? რატომ?)

სამეცნიერო აზრისა და პირადი მოსაზრების გამიჯვნა - ჰკითხეთ მოსწავლეებს, რატომ ფიქრობენ, რომ ტარანტული შხამიანია? ან ღვარცოფის მიზეზი ახალი გზა იყო? ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ხუდონჰესი დაარღვევს ბუნებრივ წონასწორობას?

მეცნიერული არგუმენტები - როდესაც მოსწავლის მოსაზრებებს შეიტყობთ, ჰკითხეთ მათ, რა არგუმენტები მოყავს ავტორს იმის დასასაბუთებლად, რომ ხუდონჰესი ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს? ან მდინარე ვერეს ადიდება და ღვარცოფი ახალმა გზამ გამოიწვია? სანდოა ეს არგუმენტები, თუ გადამოწმება სჭირდება? როგორ არის ინტერპრეტირებული მონაცემები?

მედიაწიგნიერების გაკვეთილზე მნიშვნელოვანია როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობა. დატოვეთ მოსწავლე მედიასთან პირისპირ, რომ კარგად გაეცნოს ინფორმაციას და სხვისი გავლენის ქვეშ არ მოექცეს. შემდეგ მთელ კლასთან ერთად განიხილეთ საკითხი. საკითხის ერთობლივი განხილვა ხელს უწყობს აზრების გაცვლას, მოვლენის გააზრებას და მოსწავლეები იღებენ საჯარო ანალიზის გამოცდილებას.

მედიარესურსის განხილვის დროს შეარჩიეთ მედიაწიგნიერების მიზანი.

მედიაწიგნიერების მიზნებია:

- მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;
- მედიაში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი;
- სხვადასხვა მედიაფორმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

მედიარესურსის შერჩევა

მედიარესურსის შერჩევისას აუცილებელია შეფასდეს დოკუმენტის შესაბამისობა მოსწავლეების ასაკთან და გაკვეთლის მიზნებთან. წინასწარ შეაფასეთ მედიარესურსის რელიგიური, დისკრიმინაციული, სექსუალური და სხვა შინაარსი. დაუსვით საკუთარ თავს კითხვა: ‚გამოიწვევს ეს რესურსი გაკვეთილის მიზნების შესაბამის დისკუსიას'? მედიის შერჩევისას იხელმძღვანელეთ პრინციპით,,არ ავნო". უნდა შეარჩიოთ იმ შინაარსით მდიდარი მასალა, რომლის სწავლებაც კურიკულუმითაა გათვალისწინებული. სანამ

მედიარესურსს კლასში შეიტანთ და მოსწავლეები მის დეკოდირებას დაიწყებენ, მოსწავლეებს თემის საკვანძო საკითხები შესწავლილი უნდა ჰქონდეთ. მულტიმედია რესურსში შეიძლება მეცნიერული ცოდნა მწირი იყოს, ან არასწორად იყოს წარმოდგენილი. მედიის გამოყენება შეგიძლიათ მხატვრული ნაწარმოების, პითაგორას თეორემის, საქართველოს კონსტიტუციის, გლობალური დათბობის ან ჟანგბადის მიმოქცევის სწავლებისას. მედიაწიგნიერების ინტეგრაცია აღვიძებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას. საგაზეთო სტატიების, ვიდეოკლიპების, სიმღერების, ლექსებისა და სამეცნიერო ფანტასტიკის გამოყენება მოსწავლისთვის ერთგვარი სარკმელია, მას საშუალება ეძლევა, ,,გარედან“ შეხედოს წარსულს და იწინასწარმეტყველოს მომავალი.

საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახულია მედიაწიგნიერების საჭიროება. მედიაწიგნიერება შედის ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, ხელოვნების კურიკულუმებში.

თუ გადაწყვეტთ მედიაწიგნიერების მიდგომის ინტეგრირებას სწავლებისას, ამ დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ დასმული პრობლემის მრავალმხრივობა, თუმცა, ასევე აუცილებელია სიზუსტეც.

თუ გადაწყვეტთ მედიაპროდუქტის კლასში შეტანას, მნიშვნელოვანია, მისი შინაარსი კურიკულუმთან დააკავშიროთ. დაიწყეთ კურიკულუმის მიზნების განსაზღვრით და შემდეგ იფიქრეთ, რისი ცოდნა დასჭირდებათ მოსწავლეებს - ამ ინფორმაციას გაკვეთილზე შეიტყობენ, თუ უკვე იციან. მედიაპროდუქტის კლასში შეტანისთვის მნიშვნელოვანია, წინასწარ გამოიკვლიოთ ონლაინ მედია და გააცნობიეროთ, რამდენი შეხედულება არსებობს ამ საკითხთან მიმართებაში. ეს დაგეხმარებათ მოსწავლეებისთვის კრიტიკული კითხვების დასმასა და მედიის ეფექტურ დეკოდირებაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლისათვის მიცემულ ინდივიდუალურ სამუშაოზე სხვა ადამიანებმა არ მოახდინონ გავლენა. დეკოდირებაში მთელი კლასის ერთდროული მონაწილეობა ხელს უწყობს აზრების გაცვლას და ჯგუფურ მუშაობას ანალიტიკურ ჭრილში.

3. **მომზადებული მასალა უნდა შეიცავდეს შემდეგ ნაწილებს:**
   a) მასწავლებლის სახელმძღვანელო,
   b) მოსწავლის საკითხავი მასალა,
   c) მოსწავლის შეფასების ინსტრუმენტები,
   d) მულტიმედია რესურსების ნუსხა, რომელსაც მასწავლებელი იყენებს გაკვეთილზე, ან რესურსი, რომელიც შეიქმნა სწავლების შედეგად.

გაკვეთილის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ასახვა სასწავლო მიზნებში.

i. გაკვეთილის სათაური
   კლასი
   საგანი
ii. სასწავლო მიზნები

სასურველია, მიზნები იყოს კონკრეტული: ასახავდეს, რა ცოდნის გადაცემაა გათვალისწინებული, რა უნარებსა და დამოკიდებულებებს უვითარებს მოსწავლეს.

მაგ: თემის შესწავლის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ, განსაზღვრონ საკვები ნივთიერებები და დაადგინონ, საკვები პროდუქტი რომელ ნივთიერებებს (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) შეიცავს. შეძლებენ, შეიმუშაონ შეხედულება ჯანსაღი კვების რაციონის შესახებ.

სასწავლო მიზნების განსაზღვრისას აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს მედიაწიგნიერების მიზნებიც. მედიაწიგნიერების მიზნებია:

- ✓ კრიტიკული ანალიზი, მედიის მიერ სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- ✓ სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
- ✓ მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
- ✓ სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;
- ✓ მედიადოკუმენტების ანალიზი მედიაწიგნიერების კონცეფციის შესაბამისად, კერძოდ, აუდიტორიის, ავტორის, მესიჯისა და რეპრეზენტაციის კუთხით;
- ✓ მედიამესიჯებში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი;
- ✓ სხვადასხვა მედიაფორმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

iii. უცხო სიტყვათა ლექსიკონი
   ლექსიკონში მოხვდება ყველა უცხო სიტყვა, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოს ტექსტში ან მედიარესურსში.
   მაგალითად: ყველა მოსწავლემ შეიძლება არ იცოდეს, რა არის ბურღულეული, საკვების ჯგუფები, ცილა, ცხიმი და ა.შ.

iv. საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი: მასწავლებლის სახელმძღვანელო, პოსტერი, საკითხავი მასალის ასლები, ვებ-მისამართები, შეფასების ფურცლები.

გაითვალისწინეთ, რომ მასალები (ძველი საგაზეთო სტატიები, პოსტერები, ვიდეოების ლინკები) მასალაშიც უნდა იყოს ჩაკრული

v. *შენიშვნები*

ამ ნაწილის მიზანია პასუხის გაცემა იმ კითხვებზე, რაც შეიძლება მასალის გამოყენებისას სხვა მასწავლებელს გაუჩნდეს: მაგ. ცილებს ბევრი სხვადასხვა ტიპის პროდუქტი შეიცავს (ქათამი, კვერცხი, კაკალი). ამ ასაკში არ არის მოსალოდნელი, რომ ყველა მათგანს დაიმახსოვრებენ. შესაძლოა, ბავშვისთვის ამდენი ინფორმაცია დამაბნეველი იყოს.

vi. *გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა*

ამ ნაწილში აღწერთ, როგორ მიმდინარეობს გაკვეთილი. ჩაწერეთ ყველა ის ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის და განსაზღვრავს მის ქმედებას გაკვეთილზე.

მაგალითად:

წარუდგინეთ კლასს თემა, წარმართეთ დისკუსია, მოსწავლეები ამუშავეთ ჯგუფებში, მოამზადეთ პრეზენტაციისთვის.

ამ ნაწილში აუცილებელია გაკვეთილზე დასმულ კითხვას მიუწეროთ სავარაუდო პასუხი.

როგორ იყენებენ გაღარიბებულ ურანს?	
დოკ 1.: თავდაცვის სამინისტრო – გაღარიბებულ ურანს მტერი მაშინ იყენებს, როდესაც სურს მოწინააღმდეგის შორი მანძილიდან განადგურება. გაღარიბებულ ურანს კარგი ბალისტიკური თვისებები აქვს. აშშ_ს შეიარაღებული ძალები გაღარიბებულ ურანს იყენებს ტანკების დაცვის მიზნით, გაღარიბებულ ურანს კომერციული მიზნებითაც იყენებენ.	<u>სავარაუდო პასუხები</u> <u>შესაძლო კითხვების გაგრძელება</u> რა განსხვავებაა შერჩეულ სიტყვასა და სხვადასხვა წყაროს აქცენტებს შორის? დოკ1: თავდაცვის სამინისტრო რეკლამის ერთ პარაგრაფს უთმობს გაღარიბებული ურანის სამოქალაქო მიზნით გამოყენებას. ამ დროს გამოყენებულია სიტყვები ,,ჩართვა“ და „გაძლიერება“.

კითხვები, სავარაუდო პასუხები და დასაბუთება

რა გავლენა აქვს გაღარიბებულ ურანს ჯანმრთელობაზე?	
სავარაუდო პასუხები	დასაბუთება
დოკ1.: თავდაცვის სამინისტოს ცნობით, გაღარიბებულ ურანს ჯანმრთელობაზე ნეგატიური გავლენა არ აქვს. ის ეყრდნობა სპარსეთის ყურისა და ბალკანეთის ომის ვეტერანთა უკანასკნელ გამოკვლევებს.	დოკ1: თავდაცვის სამინისტრო – „ჯანმრთელობის ცვლილებები არ არის მოსალოდნელი, რადგან გაღარიბებული ურანის რადიოაქტიურობა ძალიან დაბალია. სამედიცინო კავშირმა უნდა გამოიკვლიოს, ჯანმრთელობის პრობლემები უკავშირდება თუ არა

	საომარი მოქმედებების დროს გაღარიბებული ურანის რადიოაქტიურობის გამოსხივებას“.

vii. შეფასების ინსტრუმენტები

მასწავლებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს შეფასების ინსტრუმენტი, რითიც მოსწავლეების ცოდნას შეაფასებს. მასალა შეიძლება შეიცავდეს ტესტებს, ან საკითხის შესახებ დასმულ კითხვებს. შეფასების მიზანია, მასწავლებელმა მოაგროვოს ინფორმაცია, როგორ შეისწავლა მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხი.

viii. გამოყენებული მულტიმედია რესურსები
მასალას თან დაურთეთ გამოყენებული მულტიმედია რესურსების ნუსხა, ქსეროასლები, ვებმისამართები.

როდესაც გაკვეთილზე მედიის გამოყენებას გადაწყვეტთ, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, მედიის რომელ საშუელებას იყენებენ ბავშვები სახლში. შესაძლოა მათი რესურსები ერთგვაროვანი არ იყოს. მოსწავლეები შეიძლება იყენებდნენ მობილურ ტელეფონს, iPadაპლიკაციას, YouTube-ის არხს, ტვიტერს ან ისეთ არხს, რომლის შესახებ ბევრი არაფერი იცით. კულტურა, ეკონომიკური მდგომარება და ოჯახის ისტორია გავლენას ახდენს მოსწავლეებზე. სოციალური მედია ძალიან აქტიურია. სოციალურ მედიაში გვერდები აქვთ გახსნილი სახელმწიფო ინსტიტუციებსა და მედიასაშუალებებს. თუ თანამედროვეობის პრობლემების განხილვა გაქვთ გადაწყვეტილი, მაშინ ფეისბუქი და ტვიტერი გაკვეთილისთვის სერიოზული რესურსია. ძველი მასალების გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება სხვა სანდო ვებ-გვერდებიც იყოს წყარო.